საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა

„18" 11 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1627/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 28 სექტემბერს N 69078/03 განაცხადით კარენ აკოპიანმა (მის: რ. თაბუკაშვილის ქ. N2, 0800, ახალციხე) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „მაკარენა MAKARENA MAKAPEHA" (რეგ. N 24285) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „მაკარენა MAKARENA MAKAPEHA" (რეგ. N 24285) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 18.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 18.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 29-ე და 30-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „მაკარენა MAKARENA MAKAPEHA" (რეგ. N 24285) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N428), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 18.11.2013.

ასლი დედანთან სწორია
„18" 11 2013 წ.
ხელმოწერა

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კარენ აკოპიანმა (მისამართი: რ. თაბუკაშვილის ქ. N2, 0800, ახალციხე)

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

მაკარენა
MAKARENA
MAKAPEHA

რეგისტრაციის N 24285

მფლობელი: აკოპიან კარენ

მისამართი: რ. თაბუკაშვილის ქ. N2, 0800, ახალციხე, საქართველო

კლასი:

9 - ხორცისა და თევზის კონსერვი; დაკონსერვებული მუხუდო და სიმინდი; პომიდვრის პასტა.

30 - ყავა და ყავის შემცვლელები; ხსნადი ყავა; კაკაო; საკაზმები, მათ შორის, შავი პილპილი.